ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში
აცხადებს კონკურსს
სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დასაფინანსებლად.

<u>კონკურსის პირობები:</u>

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს. პროექტს შეიძლება უხელმძღვანელოს სრულმა/ასოცირებულმა პროფესორმა; ასისტენტ/პროფესორი შეიძლება იყოს პროექტის მონაწილე.
- პროექტში სავალდებულოა თსუ არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართულობა, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს:

➢ *აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სტუდენტი, რომელსაც აქვს არანაკლებ 150 კრედიტი და არანაკლებ 3.0 GPA.*

➢ *მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი.*

- პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მიმღებმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენა.
- პროექტის მაქსიმალური ღირებულება - 20 000 ლარი.
- პროექტში მონაწილე აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება არ უნდა აჭარბებდეს პროექტის ღირებულების 30%-ს.
- პროექტი დასრულებულად ჩაითვლება საბჭოსთვის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენის საფუძველზე.
- საპროექტო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნეს საკონკურსო განაცხადის მოწოდებული ფორმით. დანართის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი მონაწილეების CV-ები.
- ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში პროექტის წარმომდგენ ჯგუფს შესაძლებლობა ეძლევა, 3 დღის ვადაში აღმოფხვრას ხარვეზები.

(კონკურსის საფუძველი: რექტორისა და ადმინისტრაციის ერთობლივი ბრძანება N22/04; 30.12.2014)

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 27 თებერვალი.

საკონტაქტო პირები: ინა ბუროვა, ქეთი ბაქანიძე

ოთახი 107, ტ. 222 44 69